



მიტროპოლიტი ილარიონი: მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსის სამარცხვინო ვიზიტმა უკრაინაში მსოფლიოს წინაშე მისი საქმიანობის ნაყოფის დემონსტირება მოახდინა



აგვისტოს ბოლოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი უკრაინას ეწვია. ვიზიტის დროს იგი შეხვდა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებას, მის მიერ აღიარებულ განხეთქილებაში მყოფი გაერთიანების „მეუ“-ს მეთაურს და უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებს, თუმცა, ამასთანავე, იგნორირება გაუკეთა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსების, სასულიერო პირებისა და მრევლის პოზიციას, რომელიც აერთიანებს უკრაინის მორწმუნეთა უმრავლესობას. მას აგრეთვე „არ შეუმჩნევია“ მისი ჩასვლის წინააღმდეგ გამართული მრავალათასიანი საპროტესტო აქცია.

ამ ვიზიტთან დაკავშირებით, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა წმინდა ნერილიდან შემდეგი სიტყვები მოიყვანა: „**ამენ, ამენ გეტყვ თქვენ: რომელი არა შევალს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვთ კერძო შევალს, იგი მპარავი არს და ავაზაკი. ხოლო რომელი შევალს კარით, მწყემსი არს ცხოვართა**“ (ინ. 10:1-2.).

სატელევიზიო პროგრამის, „ეკლესია და მსოფლიო,“ ეთერში გამოსვლისას, მან აღნიშნა: „პატრიარქი ბართლომეოსი ჩავიდა ქვეყანაში, სადაც მართლმადიდებელი მორწმუნეების უმრავლესობა მას არ აღიარებს თავის მწყემსად. ის პირდაპირი გაგებით იძულებული გახდა უმაღლეს რადაში გვერდითა შესასვლელიდან შესულიყო, იმიტომ რომ იქ შეიკრიბნენ მორწმუნენი, რომლებიც მის ვიზიტს აპროტესტებდნენ. ეს ვიზიტი განხორციელდა სახელმწიფო ხელისუფლებისა და განხეთქილებაში მყოფთა მიწვევით, მაგრამ მართლმადიდებელი მორწმუნეების უმრავლესობამ არა მხოლოდ იგნორირება გაუკეთა ამ ვიზიტს, არამედ ძალიან ნათლად აჩვენა, რომ პატრიარქი ბართლომეოსი მათთვის მწყემსი არ არის“.

მიტროპოლიტ ილარიონის მოსაზრებით, „ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ 2018 წელს პატრიარქმა ბართლომეოსმა შეცდომა დაუშვა, რომლის მონანიებაც არასგზით არ სურს“.

„ახლა პატრიარქი ბართლომეოსი, ცდილობს თავისი სურვილები რეალობად წარმოაჩინოს, მიდის განხეთქილებაში მყოფთა ჯგუფთან და ამბობს: აქ არის ნამდვილი ეკლესია, იქ კი – უბრალოდ ვიღაც ტიტულარული იერარქები არიან, – განაგრძო მეუფემ. – ეკლესიას, რომელსაც 12 ათასზე მეტი სამრევლო, 250-ზე მეტი მონასტერი, ასზე მეტი ეპისკოპოსი და მილიონობით მორწმუნე ჰყავს, უბრალოდ იგნორირებულია პატრიარქ ბართლომეოსის მიერ – თითქოს არც არსებობდეს. ეს არის აბსურდული და სამარცხვინო სიტუაცია და ამაში მხოლოდ ერთი ადამიანია დამნაშავე – კონსტანტინეპოლის პატრიარქი ბართლომეოსი“.

გაიხსენა რა სახარებისეული გამოთქმა „**თავიანთი ნაყოფით იცნობთ მათ**“ (მთ. 7, 16), ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა ხაზგასმით აღნიშნა: „პატრიარქ ბართლომეოსის ეს სამარცხვინო ვიზიტი უკრაინაში გახდა დემონსტრაცია მთელი მსოფლიოს წინაშე მის მიერ ჩადენილი საქმეების ნაყოფისა“.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური